

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ვ5- 21, 03.12.2021

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით:

დადგენილება №34, 08.12.2021

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ვ2-24, 04.09.2024

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით:

დადგენილება №19, 20.09.2024

### ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი განათლების საფეხური: უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური (ინტეგრირებული სამაგისტრო)

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0841 ვეტერინარია/Veterinary

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ვეტერინარიის მაგისტრი (ინტეგრირებული სამაგისტრო) / Master of Veterinary Medicine (MVM)

სწავლის ხანგრძლივობა: 10 სემესტრი

პროგრამის მოცულობა: 300 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელები: მაია კერესელიძე, ელ. ფოსტა: [maia.kereselidze@eu.edu.ge](mailto:maia.kereselidze@eu.edu.ge); ნინო მილაშვილი, ელ. ფოსტა: [milashvili.nino@eu.edu.ge](mailto:milashvili.nino@eu.edu.ge)

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართულ ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ინგლისური ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა). აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ბ) მათემატიკა/ისტორია/ბიოლოგია/ქიმია (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი). თითოეული საგნისათვის (მათემატიკა/ისტორია/ბიოლოგია/ქიმია) განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

**პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოიპოვებენ:**

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩარიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებული არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

**პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:**

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

## პროგრამის აქტუალობა

საქართველო აგრარული ქვეყანაა, რომლის ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სასოფლო სამეურნეო წარმოება, კონკრეტულად, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება, პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდა, მოსახლეობისათვის მეცხოველეობის ჯანსაღი პროდუქციის მიწოდების უზრუნველყოფა.

მეცხოველეობის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგის განვითარება, შეუძლებელია ვეტერინარული მომსახურეობის გარეშე. ვეტერინარული საქმიანობა მიმართულია ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის და კეთილდღეობის უზრუნველყოფის, მათი პროდუქტიულობის ამაღლების, უვნებელი ცხოველური პოდუქტების წარმოების, ადამიანთა ზოონოზური დაავადებების პრევენციისა და ეკოსისტემის დაჭუჭყიანების დაცვისაკენ. მეცხოველეობის მეურნეობებში დაავადების გაჩენის შემთხვევებში ადგილი აქვს ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას, მათი პროდუქტიულობის დაქვეითებას (რძის წველის დაკლებას, წონამატების დაქვეითებას და სხვა), დაავადების გამწვავებისას ცხოველთა იძულებით დაკვლასა და დაცემას, რაც ეკონომიკურ ზარალს აყენებს ფერმერულ მეურნეობებს, შესაბამისად, აფერხებს მეცხოველეობის დარგის მდგრად განვითარებას და აუარესებს ქვეყნის ეკონომიკას, რაზედაც მეტყველებს შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: 2017-2021 წლების განმავლობაში საშუალოდ ქვეყანაში ყოველწლიურად ეცემა 55 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 77 ათასი სული ღორი, 3 813 ათასი ფრთა ფრინველი.

ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ვეტერინარიის სფეროს მოწესრიგებისაკენ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტთა დახმარებით შემუშავდა ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამა, რომლის საფუძველზეც შემდგომში მომზადდა გადამდები დაავადებების წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა სტრატეგიული გეგმები. 2015-2027 წლებზე გაწერილი ევროკავშირთან საკანონმდებლო მიახლოების გეგმა ვეტერინარიის სფეროში გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის ნორმატიულ აქტებთან, რაც უზრუნველყოფს სავეტერინარო მომსახურეობის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვას და ქვეყანაში ეპიზოოტოლოგიური და ზოონოზური დაავადებების მიმართ კეთილსაიმედობის მიღწევის უზრუნველსაყოფად ცხოველების ჯანმრთელობის დაცვას.

დღევანდელი ვეტერინარია ახალი გამოწვევების წინაშე დგას, გლობალიზაციამ, ქვეყნებსა და კონტინენტებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაზრდამ, გლობალურმა დათბობამ და სხვა ფაქტორებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს მსოფლიოს ეპიდემიოლოგიური (ეპიზოოტიური) მდგომარეობა. დაავადებები (ღორის აფრიკული ცხელება, ნოდურალური დერმატიტი, ცხვრის ინფექციური კატალური ცხელება, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი და სხვა.), რომლებიც ადრე ცალკეული რეგიონების და კონტინენტების პრობლემა იყო, გასცდა თავის ისტორიულ საზღვრებს და სულ ახალ-ახალ ტერიტორიებს ითვისებს. შესაბამისად, კიდევ უფრო გადამწყვეტი ხდება ვეტერინარიის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვის მიზნით. მითუმეტეს, რომ ადამიანის დაავადებათა 65%-ზე მეტი ცხოველური წარმოშობისაა.

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის დონის ამაღლება, მჭიდროდ უკავშირდება ზოონოზური დაავადებებით ადამიანის დასნებოვნების რისკის აცილებას, რაც განაპირობებს ქვეყანაში ეპიდემიოლოგიურ კეთილსაიმედობას, ხოლო შედეგად ვაჭრობისა და საექსპორტო პოტენციალების ზრდას, უცხოელი ინვესტორების მოზიდვას და მდგრადი განვითარების პროექტებში ინვესტიციების დაბანდებას, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით მრავალი სოციალური პრობლემის გადაჭრას, დასახული მიზნების განხორციელება კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების დადების შემდეგ, რაც განსაზღვრავს ქვეყნის სამომავლო გეგმებს ერთიან ევროპულ ოჯახში გაწევრიანების გზაზე. საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარება და პერსპექტივები, ვაჭრობის საერთაშორისო

მკაცრი სტანდარტების მოთხოვნები პროდუქტების ხარისხის და მათ შორის მეცხოველეობის პროდუქტების მიმართ მოითხოვს მკაცრ კონტროლს. ყველა ამ ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელობის გამო დღევანდელი მკაცრ მოთხოვნებს უყენებს ვეტერინარ სპეციალისტებს.

ვეტერინარიის წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების გადაჭრა შეუძლია მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი სავეტერინარო საგანმანათლებლო პროგრამით მომზადებულ, თანამედროვე მეთოდოლოგიების მცოდნე სპეციალისტებს, რომელთაც აქვთ მაღალი კვალიფიკაცია და ისეთი კომპენტენციები, რომლითაც შეძლებენ საზოგადოებრივ, თუ პროფესიულ საქმიანობაში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას და კარიერულ წინსვლას.

ვეტერინარ სპეციალისტებზე საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლის ანალიზი ცხადყოფს, რომ მეცხოველეობის დარგი, სახელმწიფო და კერძო ვეტერინარული სტრუქტურები განიცდიან ვეტერინარ სპეციალისტების მწვავე ნაკლებობას. დარგში მომუშავეთა საშუალო ასაკი 55-60 წლამდე მერყეობს, ხოლო 18% საპენსიო ასაკს გადაცილებულია და მომდევნო 7-10 წელიწადში ვეტერინართა გადაბერების გამო მოსალოდნელია მათი რიცხვის მკვეთრი შემცირება. ამჟამად ვეტერინართა მომზადება საქართველოში ხდება ორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (აგრარული უნივერსიტეტი და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი), რაც ბუნებრივია ვერ უზრუნველყოფს ვეტერინარულ კადრებზე მოთხოვნების დეფიციტის შევსებას.

ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრის და ვეტერინარ სპეციალისტებზე გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობა განაპირობებს ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების აქტუალობას.

ევროპის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დარგის მიღწევებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამასთან, უნივერსიტეტს აქვს სათანადო ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომლითაც შეუძლია შექმნას სტუდენტებისათვის სწავლის ისეთი პირობები, რომელიც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური ვეტერინარ სპეციალისტების მომზადებას.

### პროგრამის მიზანი

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ევროპის უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც ითვალისწინებს „მაღალ კვალიფიციური კადრის მომზადებას, სტუდენტის კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებას“.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

1. შეასწავლოს სხვადასხვა სახის ცხოველთა დაავადებები, გამოუმუშაოს მათთან დამოუკიდებლად ბრძოლისა და პრევენციის ღონისძიებების ჩატარების უნარები, ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების და გამოცდილების გათვალისწინებით;
2. შეასწავლოს ცხოველთა პროდუქტიულობის ამაღლების და სურსათის უვნებლობის საკითხები. განუვითაროს სურსათის ვეტერინარული კონტროლის განხორციელების უნარები;

3. გამოუმუშაოს ვეტერინარიის დარგის პრობლემების გადაწყვეტის და მეცნიერული კვლევის უნარები;
4. ჩამოუყალიბოს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა ეკოსისტემის დასაცავად.

### სწავლის შედეგები

ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

1. აღწერს ცხოველთა გენეტიკურ, ბიოქიმიურ, მორფო-ფიზიოლოგიურ, ქცევით და სხვა სახის ბიოლოგიურ თავისებურებებს და სასიცოცხლო პროცესების რეგულაციის მექანიზმებს;
2. აღწერს ცხოველის ტიპურ პათოლოგიურ პროცესებს, მათ ეტიოლოგიას, პათოგენეზს, გამოვლინების ფორმებს და სპეციფიკას, კომპენსატორულ მექანიზმებს.
3. განსაზღვრავს ცხოველის ფიქსაციის, კლინიკური გამოკვლევის ფიზიკალურ, ინსტრუმენტულ და ლაბორატორიულ მეთოდებს, სხვადასხვა სისტემების დაავადებების სიმპტომატიკას, დიაგნოსტიკას და პრაქტიკული მანიპულაციების ჩატარების წესებს;
4. აღწერს სამკურნალო და პროფილაქტიკური პრეპარატების ჯგუფებს, მათი მოქმედების მექანიზმებს, გამოყენების მეთოდებს და რეცეპტურას. განიხილავს წამლების როლს დაავადებათა მკურნალობასა და ეკოსფეროს დაჭუჭყიანებაში;
5. განსაზღვრავს ინფექციური, პარაზიტული, შინაგანი, ქირურგიული, რეპროდუქციული ორგანოების, იმუნოპათოლოგიების და სხვა დაავადებების ეტიოლოგიას, პათოგენეზს, დიაგნოსტიკას, მკურნალობას და პროფილაქტიკას, პირველადი დახმარების და ეპიდემიის ლიკვიდაციის ღონისძიებებს; აღწერს ქვეყანაში არსებულ სავეტერინარო ინსტიტუციური მოწყობის საკითხებს; განმარტავს დაავადებებით გამოწვეული რისკ-ფაქტორების გავლენას ცხოველისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.
6. აღწერს ცხოველთა ჯიშებს, მათი მოვლა-შენახვის სისტემებს, კვების, გამრავლების ბიოტექნოლოგიის, სტრესისაგან დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.
7. კრებს პაციენტის ანამნეზს, ახდენს ფიქსაციას, დიაგნოსტიკური მეთოდებით ცხოველის კლინიკურ გამოკვლევას, ანალიზებს შედეგებს და სვამს დიაგნოზს ინფექციურ, პარაზიტულ, შინაგან, ქირურგიულ, იმუნოპათოლოგიურ, რეპროდუქციული ორგანოების და სხვა დაავადებებზე. ამზადებს მარტივ წამალთფორმებს, ატარებს სამკურნალო, პროფილაქტიკურ და პირველადი დახმარების ღონისძიებებს.
8. აწარმოებს ცხოველის ლემის გაკვეთას, პათოლოგიური მასალის აღებას, ლაბორატორიაში გადაგზავნას, ადგენს ორგანოების პათოლოგიის სახეობას. ატარებს სასამართლო-სავეტერინარო ექსპერტიზას.
9. ადგენს სურსათის წარმოება/გადამუშავება/დისტრიბუციის ჰიგიენურ მოთხოვნებს და საფრთხეებს, ახორციელებს სურსათის უვნებლობის კონტროლს, ცხოველის დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომ ვეტერინარულ შემოწმებას;

10. დამოუკიდებლად მართავს სასწავლო/სამუშაო გარემოს, აწარმოებს კვლევებს, წარადგენს კვლევის შედეგებს ქართულ და ინგლისურ ენებზე პროფესიული და აკადემიური საზოგადოების წინაშე ეთიკის სტანდარტების დაცვით.

11. იცავს სავეტერინარო კანონმდებლობის მოთხოვნებს, ექსპერიმენტულ ცხოველთა დაცვის საერთაშორისო რეგულაციებს, ბიოეთიკის სტანდარტებს და პირად ჰიგიენას ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან (იხ. **დანართი 1**).

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა **დანართი 2-ის** სახით.

### პროგრამის მოცულობა

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად.

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 5 აკადემიურ წელს, ანუ 10 სემესტრს და მოიცავს 300 კრედიტს (სულ 7500 საათს). სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი - 750 სთ), ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, სემესტრში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 30-ზე ნაკლები ან მეტი, ამავდროულად კრედიტების რაოდენობა აკადემიური წლის განმავლობაში შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

### პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამა მიმართულია ვეტერინარიის მაგისტრის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად და მისი სტრუქტურა წარმოდგენილია ძირითადი სწავლის სფეროს (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი “პრაქტიკა“, სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტი და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები) და ზოგადი სასწავლო კურსებით და თავისუფალი კომპონენტით. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია ვეტერინარის დარგობრივი მახასიათებლებით რეკომენდირებული საკითხები საბაზისო მეცნიერებების და ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების (საბაზისო დარგობრივი, კლინიკური, ცხოველთა მომშენებლობის, სურსათის ჰიგიენის და უვნებლობის შემსწავლელი მეცნიერების სწავლება), ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს



არჩევით ნაწილში ვეტერინარის სფეროსთან დაკავშირებული კურსები, რომლებიც ხელს შეუწყობს პროფესიული მოვალეობის შესრულებას და გააფართოებს კომპეტენციებს ვეტერინარიის სფეროში.

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი „პრაქტიკა“, ტარდება შესაბამისი პროფილის და რესურსის მქონე ორგანიზაციებში, რომელიც სტუდენტებს გამოუმუშავებს პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევებს.

პროგრამაში გათვალისწინებულია ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსები და თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს, მაგრამ მიმართულია ზოგადი ცოდნის ჩამოყალიბება-განვითარებაზე. პროგრამაში სასწავლო კურსები განლაგებულია გარკვეული პრინციპით, მარტივიდან რთულისაკენ, ზოგადიდან დარგობრივისკენ შესაბამისი წინაპირობების დაცვით, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს მასში გაწერილი სავალდებულო და არჩევითი საგნები გაიაროს მწყობრი სისტემით და მიიღოს ხარისხიანი ცოდნა. ამასთან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა თავად აირჩიოს თავისუფალი კრედიტის ფარგლებში მისთვის სასურველი და საინტერესო სასწავლო კურსი და ამით ხელი შეუწყოს საკუთარ ინტელექტუალურ განვითარებას და არჩეული კურსის შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტებს.

სასწავლო პროგრამის კრედიტების განაწილება:

- ზოგადი/თავისუფალი კომპონენტი - 75 კრედიტი, მათ შორის:

ზოგადი/თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 65 კრედიტი;

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი.

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები -178 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი „პრაქტიკა“ – 24 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - 14 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 9 კრედიტი.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

- ა) ხუთ სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით

გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8-მე-9 კვირაში. შუალედური შეფასება გულისხმობს სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს სტუდენტების მუშაობის პროცესის, შუალედური გამოცდის და სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაოს ჯამურ შეფასებას, ხოლო დასკვნითი შეფასება - დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შუალედური და დასკვნითი შეფასებების მეთოდებს და მათ ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. სილაბუსში ასევე განმარტებულია თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებიც.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50%, ხოლო დასკვნითი შეფასების - 50%+1.



კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრების გადალახვის საფუძველზე სტუდენტის მიერ მიღებული ქულების ჯამი შეადგენს 51 ქულას ან მეტს.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შუალედური და დასკვნითი შეფასებებისას გამოყენებულია შეფასების შემდეგი მეთოდები:

- **პრაქტიკული სავარჯიშო/დავალება/ამოცანა** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ ტექნიკური ან/და ქცევითი უნარების გამოვლენის ხარისხის შემოწმებას. შეფასება შეიძლება დამოკიდებული იყოს საბოლოო რეზულტატზე, მტკიცებულებაზე (პროდუქტი) ან აქტივობის შესრულების პროცესზე. დასაშვებია ორივე ვარიანტის კომბინაცია.
- **ტესტი** - (ღია, დახურული ან კომბინირებული, სადიაგნოსტიკო) - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მხრიდან ლექტორის ავტორობით შედგენილი წერილობითი კითხვების/დავალებების შესრულებას დროის განსაზღვრულ, მცირე მონაკვეთში მათ მიერ განვლილი მასალის ცოდნის, თუ მათი კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნებისა და არგუმენტირების უნარის შემოწმების მიზნით. ტესტები, როგორც წესი, მოიცავს როგორც ღია, ისე დახურულ კითხვებს, და შესაძლოა, ტერმინის განმარტებასაც. კომბინირებული ტესტის შემთხვევაში, დამატებით გვხვდება ასევე თემა, ქეისი ან კაზუსიც. ღია ტესტი საჭიროებს ერთმნიშვნელოვან მოკლე პასუხს, რაც გამორიცხავს გამოცნობას, დახურულ კითხვებზე პასუხის გაცემისას სტუდენტებს არჩევანის გაკეთება უწევთ ალტერნატიულ ვერსიებს შორის, ხოლო თემა/ქეისი/კაზუსი ითხოვს შედარებით უფრო ღრმა და ვრცელ მსჯელობას.
- **პრეზენტაცია** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის შეფასებას მის მიერ სასწავლო მასალის, რეფერატის ჯგუფის წინაშე ვიზუალური საშუალებების თანხლებით წარდგენის ფონზე. პრეზენტაცია ამოწმებს სტუდენტის გადმოცემის მანერას, ტექნიკასთან მუშაობის უნარს, პრეზენტაბელურობას, მოწოდებული ინფორმაციის ადეკვატურობას და სხვა.
- **რეცენზირება** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ სხვა სტუდენტის ნაშრომის კრიტიკულად გაანალიზებასა და შეფასებას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

- **რეფერატი** - შეფასების მეთოდი, რომელიც მოითხოვს სტუდენტის მხრიდან წიგნების, სტატიების, სხვა სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვას, კრიტიკულ ანალიზს, კომენტირებას და საკუთარი პოზიციის კონსტატაციას წერილობითი ფორმით. რეფერატის შეფასებისას ლექტორი ძირითადად ამოწმებს სტუდენტის უნარს, წეროს აკადემიურად, გაიაზროს სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, შეუპირისპიროს ისინი ერთმანეთს, მოახდინოს მათი ერთიან ტექსტად ფორმირება, იკვლიოს დამოუკიდებლად და გააკეთოს დასკვნები. ლექტორმა შეიძლება, მოითხოვოს რეფერატის წარდგენა კლასის წინაშე თვალსაჩინოებების გამოყენებით, რა შემთხვევაშიც პრეზენტაცია ექვემდებარება დამატებით შეფასებას.
- **სამუშაო ჯგუფში აქტიურობა/ზეპირი გამოკითხვა/აქტივობა პრაქტიკულ მეცადინეობაზე** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მხრიდან ცალკეული სტუდენტებისთვის კითხვების დასმას ლექციის დროს ახსნილი და მათ მიერ დამოუკიდებლად დამუშავებული მასალის შესახებ მათი ცოდნის გამომჟღავნებისა და შეფასების მიზნით. ზეპირი გამოკითხვის შეფასებისას სტანდარტულად ექცევა ყურადღება სტუდენტის სისხარტეს, პასუხების ადეკვატურობა/რელევანტურობას, ფაქტების სიზუსტეს, გასაგებ ენაზე გადმოცემის უნარს, დამაჯერებლობას და სხვა. პრაქტიკული აქტივობის დროს ფასდება სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევები.
- **ქვიზი** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ სტუდენტების წერილობით გამოკითხვას მოკლე ტექსტის ფორმატში და, როგორც წესი, შედგება დახურული კითხვებისგან. ქვიზის მიზანია, შეამოწმოს სტუდენტების მიმდინარე ცოდნა და მისი შეფასების სტანდარტული კრიტერიუმია პასუხების სისწორე. ლექტორი სილაბუსით განსაზღვრავს ქვიზის შესრულებისთვის გამოყოფილ დროსა და თითოეული კითხვის წონას.
- **ლაბორატორიული მუშაობა/დავალება** - შეფასების მეთოდი, რომლის დროსაც ლექტორი უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართვას ლაბორატორიულ საქმიანობაში/ექსპერიმენტში და შესაბამისად, აძლევს გამოცდილებით სწავლის საშუალებას. აღნიშნული გულისხმობს ლაბორატორიაში მუშაობას, ცდის ჩატარებას, მონაცემების ანალიზსა და შესაბამისი დასკვნის გაკეთებას.
- **თეორიული საკითხი/თემა** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ სტუდენტისთვის თავისუფალი ხასიათის წერითი დავალების მიცემას, რომელიც არ არის სტანდარტიზებული, თუმცა განსაზღვრულია თემატიკა და/ან სათაური, რომელზე დაყრდნობითაც სტუდენტს ევალება მცირე მოცულობის (400-500 სიტყვა) ანალიტიკური ნაშრომის დაწერა.
- **დისკუსია/დებატები** - შეფასების მეთოდი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები იხილავენ კონკრეტულ პრობლემას/თემას/საკითხს და ფასდებიან არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით ოპერირების, დასკვნის გაკეთების, თვითრეფლექსიის, ანალიტიკური უნარების და სხვა რელევანტური კრიტერიუმების მიხედვით.
- **კლინიკური შემთხვევის განხილვა CBL** - საშუალებას იძლევა შემოწმდეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კლინიკური შემთხვევის განხილვისა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიების უნარი.

- **ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE)** გამოიყენება საბაზისო დისციპლინების სწავლების ეტაპზე, რომელიც მოიცავს თეორიულ, პრაქტიკულ და კლინიკური ცოდნის შეფასებას.
- **ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE)** კლინიკური კომპეტენციების შეფასების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია, OSCE-ს საშუალებით შესაძლებელია ერთროულად შეფასდეს კლინიკური კომპეტენციების მთელი სპექტრი: პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის შეკრების ჩვევები, პაციენტის გამოკვლევის სხვადასხვა მეთოდი, კომუნიკაციის უნარები, პროფესიონალიზმი, მანუალური ჩვევები, კლინიკური აზროვნება, მსჯელობისა და პრობლემის გადაჭრის უნარი, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება და დაავადებათა მართვა.

### დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ვეტერინარიის მაგისტრს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებში უფლება აქვს იმუშაოს სახელმწიფო და კერძო სამსახურებში:

#### ვეტერინარია:

- მეცხოველეობის და მეფრინველეობის ფერმები, მეფუტკრეობის და მეთევზეობის მეურნეობები, დაავადებების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- სავეტერინარო კლინიკები და ლაბორატორიები: ცხოველთა დაავადებების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა (ამბულატორიული და სტაციონარული), ლაბორატორიული გამოკვლევები ჩატარება;
- სავეტერინარო აფთიაქები, ფარმაცევტული საწარმოები: პრეპარატების წარმოება, გამოცდა, კონტროლი და გაცემა, ცხოველის მეპატრონეთა კონსულტაცია;
- ზოომალაზიები, ზოოპარკები, ვივარიუმები, აკვარიუმები, ტერარიუმები, იპოდრომები, ცხოველთა თავშესაფრები: ცხოველთა მეპატრონეების /მომსახურე პერსონალის კონსულტაცია, ცხოველთა ზედამხედველობა, ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია;
- კოსმეტიკური კაბინეტები; ცხოველთა მოვლა, კოსმეტიკური ჩარევები;
- სასკლაოები: ცხოველის დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომი ვეტერინარული შემოწმება; საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის შემოწმება და სხვა;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო -კვლევითი დაწესებულებები: სასწავლო-პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, პროფილური საქმიანობა;
- შესაბამისი სახელმწიფო უწყებები: ქვეყნის შიგნით და საზღვარზე ვეტერინარული კონტროლის მექანიზმების შემუშავება და განხორციელება ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით.

#### სურსათის უვნებლობა

- აგრარული ბაზრები, სურსათის ბიზნესპარტნიორები: ცხოველური პროდუქტების შემოწმება და ა. შ.

**გარემოს დაცვა:**

- დაცული ტერიტორიები: ცხოველთა სახეობების მონიტორინგი, ეპიდემიურ/ეპიზოოტიური სიტუაციების მონიტორინგი, მათი პრევენცია და სხვა.

**კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია:**

- უმაღლესი აკადემიური განათლების III საფეხურზე – დოქტორანტურაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო*

*პროგრამის ხელმძღვანელები:*

*მაია კერესელიძე*

*ნინო მილაშვილი*

*ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.:*

*სოფიო ხუნდაძე*